# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 41 კვირა, 21 თებერვალი 1910 წ. № 41

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, [illegible] N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1910 წელს 22 თებერვალს
ტფილისის „კრუჟოკის“
დარბაზში
გაიმართება

## ჩვეულებრივი სათავად-აზნაურო ბალი

ტფილისის
სათავად-აზნაურო
გიმნაზიის
ქონების გასა-
ძლიერებლად

ტანისამოსის ფორმა: სამხედროთათვის მუნდირი, დანარჩენთათვის ფრაკი ან ეროვნული ტანისამოსი.

შესასვლელ ბილეთის
ფასი 2 მან. 10 კაპ.

**ბალის დასაწყისი საღამოს 10 საათზე.**

ბალის დიასახლისი იულია კონსტანტინეს ასული
(2—გ.ე.—2) **თუმანიშვილისა.**

---

## მღვდელი მირონ სვიმონის ძე ომანიძე

გარდაიცვალა 18 თებერვალს. აუწყებენ მწუხარენი ნათესავთ და ნაცნობთ: ძმა **ივანე სვიმონის ძე** და მეუღლე მისი **ანნა გრიგოლის ასული ომანიძენი** და და ქვრივი **სოფიო სვიმონის ასული ურგებაძისა** შვილებით. პანაშვიდები დღის 1-ლ საათზე და საღამოს 7 საათზედა, სახლი მუხაიძისა გრაფის ქუჩა, № 7. გასვენება იქნება 23 ს, სამშაბათს, 9 საათზე ტფილისის ანჩისხატის სობოროში. წირვის შემდეგ და ანდერძისა გაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ დასაკრძალავად (1—158—1)

---

**წარმოდგენა № 37.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 37.**

**კვირას, 21 თებერვალს, 1910 წელს**

### ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე **ლევ ტოლსტოისა**

## შავი ბერი

დრამა 4 მოქმედებად თარ. ლ. ალექსი-მესხიშვილისა,
(ან. ჩეხოვის მოთხრობიდან გადმოკეთებული)

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, მ. მღთაძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, გ. იმხნელი, ი. ივანიძე, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე.

ამ წარმოდგენაზე კონტრამარკები არავის მიეცემა. ბილეთები ვლ. ალექსი-მესხიშვილის უშტემპელოთ ძალასა ჰკარგავენ.

**ადგილების ფასები საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

პარასკევს, 26 თებერვალს, ბენეფისი კ. მესხისა. წარმოდგენილი იქნება „ხალხის სიკეთე“ და „სიკვდილი ნაპოლეონისა“. მზადდება: „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“.

რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 21 თებერვალს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **ვასო აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

## უდანაშაულოთ დამნაშავენი

კომედია 4 მოქმედებად, ოსტროვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ქიქოძე, ციმაკურიძე და შალამბერიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნარი, პეპანოვი, ხაზანაშვილი და ზურაბიშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს 14 მარტს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

---

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი
## ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—11)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლეები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—115)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისა ვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—277)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—64

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი**
**ქუთაისში,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—23)

**ექიმი ვასილ წერეთელი**
**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—122)

**ექიმი კბილისა ქუთაისში**
**ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—372)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—22)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**
**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გიმნაზიის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—21

**ექიმი ბ. მამაკაიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—102)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—105)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**
**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—8)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზენოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—31)

## დ. ქარელში

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—2)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½ დან 5 ს.-დე

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ. დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ, ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—ნ.—10)

---

**კვირას, 21 თებერვალს,**

12 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: გამგეობის მოქმედების ანგარიში, გამგეობის წევრების არჩევნები, ახალ წევრების მიღება და მიმდინარე საკითხები.

ეს კრება მეორედ ინიშნება და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—2)

---

## გამგეობა

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ წევრთა მორიგი ჩვეულებრივი საზოგადო წლიური კრება დანიშნულია კვირას, 7 მარტს, დილის 9 საათისთვის ბანკისავე შენობაში.

უმთავრესი განსახილველი საგნები:

1. 1909 წლის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. ამა 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება;
3. მოხსენება: საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
4. არჩევა საბჭოს ორის წევრისა, ნაცვლად ს. გაჩეჩილაძის და ბ. კელენჯერიძისა და აგრეთვე გამგეობის ერთის წევრის, ნაცვლად ტ. ნიორაძისა. (3—ნ—2)

---

## ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ. „ძ მ. სეილანოვები“

**ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.**

**ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.**

**მარსი 20 ცალი 5 კაპ.**

◀ რომ დარწმუნდეთ რომ ეს პა-
◀ პიროსები ყველა ცნობილ
◀ პაპიროსებს სჯობია.

სათუთუნო ფაბ. **სავ. სახ.** **„ძმები სეილანოვები“.**

(15—ტ.—6)

---

**გამოვიდა ჟახალი ჟმე 8 № რი**

თეატრი და ცხოვრება
სათეატრო და ლიტ. ჟურნალი

თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან , ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

**რედაქტ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.**

---

**◀ რედაქცია ჟურნალ ▶**

## ფასკუნჯისა

სთხოვს ბ-ნთ აგენტებს გამოგზავნონ ხელის მოწერის ფული და ხელის მომწერთა სია. ჟურნალის პირველი № გამოვა მარტის შუა რიცხვში შემდეგის შინაარსით: ნაწარმოებნი **გ. ნდევ ილისა, ეკ. გაბაშვილისა, კ. მაყაშვილისა, ა. შანშიაშვილისა, ტ. რამიშვილისა, ა. სარაჯიშვილისა;** წერილები **ნ. მარრისა, კ. აბაშიძისა, გრ. რობაქიძისა, ე. თაყაიშვილისა, სიტყვასი** და სხვათა.

სურათები—ერთი ფერადი, ორი ფოტოტიპიური და 10 ცინკოგრაფიაში გაკეთებული.

ადრესი. Тифлисъ. типографія „Сорапанъ“. (3—1)

---

## დღიური

**ეროვნული პიროვნება.**

ხალხის განვითარების საუკეთესო მაჩვენებელია განვითარებული პიროვნება. საზოგადოების კულტურა, აღზრდა ცოდნათა შეთვისებასა და ტეხნიკის გავრცელებაში არ გამოიხატება. სულიერი სიძლიერე, ხასიათის სიმტკიცე, ნიჭი შემოქმედებისა, გემო სილამაზისა, სამართლიანობის გრძნობა, მაღალი პიროვნება, მრავალფეროვანი სახე—აი, რა გვამცნევს განათლებას, რომელიც არა თუ გარეგნობას, სისხლსაც კი შეუცვლის, გაუკეთილშობილებს ადამიანს.

ცხოვრებას ჰქმნიან ძლიერი პიროვნებანი, ანუ, თუ ვისმე ცამება ეს, ჩვეულებრივი ადამიანები წარმოშობენ დიდს პიროვნებას და მის შემწეობით მოქმედებენ ცხოვრებაში. ასეა თუ ისე, შემოქმედია დიადი პიროვნება, რომელიც ერის დედამიწაზე აღმოაცენებს ერის კულტურას. გენიოსი უდიდესი პიროვნებაა და საკითხი კულტურისა, არსის ჩასახვისა, ჩასახულისა აღზრდის და განვითარების, უსულოს გასულიერების, სულიერის უკვდავ ქმნისა—არის საკითხი ნიადაგის მომზადებისა დიდებულის პიროვნების წარმოსაშობად.

ერის განვითარების გზა მაღალ პიროვნების ადამიანისკენ მიდის, რადგან იქ ჰპოვებს ერი უკვდავებას, უკვდავებისკენ მისწრაფება კი განუშორებელი თვისებაა ყოველი სულიერ არსებისა კაცობრიობა საზრდოობს გენიოსების ნაღვაწით და ვინ იცის, ეგებ ქვეყნის დასასრულამდე მოუნდეს იგი მათ ნაანდერძევის შეგნებას და შესისხლხორცებას. გენიოსის ცხოვრება უკვდავი აზრის წარმოშობაა, უბრალო ადამიანისა კი—ამ აზრის განხორციელება, მაგრამ ამ განხორციელებამდე ხომ გრძელი გზაა—გზა აზრის გაგებისა.

რა ლექსით გამოვსთქვამთ ამას, სულ ერთია: ბუნება მეტყველობს, მკვდარი მოძრაობს, სიკვდილი სიცოცხლედ იქცევა და ხაოტიური არსებობა ირკვევა და კალაპოტში დგება მხოლოდ დიდის პიროვნების მეოხებით. ყველა და ყველაფერი სახეს, ენას, სულს მოიპოვებს მარტო გენიოსით. ღმერთმა შექმნა პირველი ასო, ასოებმა—ადამიანი, ადამიანებმა—გენიოსი, რომლის საშუალებით, განვლიოთ, ყოველივე უბრუნდება ისევ ღვთაებას.

ეს გზა აუცილებელია; სხვა მხრით ამაღლება, განვითარება შეუძლებელია. ამიტომ როცა ვლაპარაკობთ კულტურის განვითარების საჭიროებაზე, უნდა ვილაპარაკოთ იმ ნიადაგის მომზადებისთვის, რომელზედაც შესაძლებელია მაღალ ადამიანის—პიროვნების შობა.

ცოდნა, მეცნიერება, ქონებრივი კეთილდღეობა — აუცილებელი პირობებია, რომ პიროვნება გაიზარდოს, აყვავდეს, ნაყოფი გამოიღოს. მაგრამ ჯერ უნდა იყოს ის მცენარე, რომელსაც ესაჭიროება ყველაფერი და რომელსაც ვერ წარმოშობს ვერც ერთი დასახელებული პირობა. ის უმთავრესი ასო, ნივთი, რომელიც შეადგენს პიროვნებას, არსებობს, ინახება, გროვდება ეროვნულ გრძელ წარსულში და აღმოცენდება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე. რასაც ჩვენ ვუწოდებთ პიროვნებას, თავისებურობას, განსაკუთრებულს ხასიათს, ადამიანობას,—ეს შემუშავებულია ხშირად ჩვენთვის სრულიად გაუგებარის, იდუმალის პროცესით ერის საკუთარს მრავალსაუკუნიანს ისტორიაში. ადამიანი ერთნაირის მიწა წყლის, ენის, სულიერი წრის შემწეობით ეროვნულ საზოგადოებაში მოიპოვებს პიროვნებას, რომელიც მისთვის თან დაყოლილი სიცოცხლესთან ერთად. პიროვნება არ შემუშავდება ერთს წელს და არც ერთს საუკუნეში, საჭიროა ათასი წელი მისთვის, ათასი წელი ერთნაირობის მიწის, ენის, ისტორიის, ერთის ეროვნულის ცხოვრების. ხშირი ცვალებადობა ვერ შექმნის პიროვნებას. ერთმა მეორეს უნდა გადასცეს, მამისაგან შვილზე გადავიდეს რაიმე თვისება მრავალ საუკუნის განმავლობაში, რომ ბოლოს შეიქმნეს შემადგენელი ნაწილი ძლიერის პიროვნებისა.

დღეს ჩვენ ქართველები ვართ, გვაქვს მოცემული ქართული ეროვნული პიროვნება. ეს ფაქტია, რომლის არც მოსპობა, არც გაჩენა ჩვენს ხელთ არა ყოფილა და არც არის. ქართული პიროვნება გვაქვს იმიტომ, რომ შორეულ ისტორიაში გაჩნდა და არსებობს ქართველი ერი, თავისი ტერიტორიით, თავის ენით და ისტორიით და ამ გარემოებამ ჩაგვაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომლიდანაც ის არ შეგვიძლია გამოსვლა, როგორც არ ძალგვიძს ჩვენი სხეულის აგებულობის შეცვლა. ჩვენ არ შეგვიძლია დღეს ჩვენი ქართველობის, ქართველი ერის წევრობის უარყოფა, თუნდაც [illegible] ეს, რადგან ამის უარყოფა ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

ყოველი ქართველი კერძო საკუთარი პიროვნება განუშორებელია ქართულ ეროვნულ პიროვნებასთან. ისის საკუთარი „მე“ წარმოადგენს მისი ადამიანობის და ქართველობის შეერთებას. [illegible] მისი ადამიანობა და ქართველობა განუყოფელია [illegible] ჩვენი კერძო პიროვნების [illegible] ეროვნულ პიროვნებად, რადგან [illegible] გან. მან არ შეიძლება თქვას: „მე მხოლოდ ადამიანი, ადამიანური პიროვნება; არა ვარ ქართველი, არა მაქვს ქართული პიროვნება“. ეს მარტოოდენ [illegible] ბევრის რომ [illegible] ტანს და სულს, ვერ განიშორებს [illegible] ქართველობისაგან, რადგან [illegible]

[illegible] დღევანდელ [illegible]

ნელი ტანჯვა, სასოწარმკვეთელი წამება, რომლის გამოსახატავად სიტყვაც კი ვერ გვიპოვნია ხშირად. აქ სახსენებელი არ არის რაღაც პატრიოტობა, თავმოყვარეობა, ცრუ ოცნება, ჩემობა. არა! იბადება საშინელი საკითხი: შესაძლებელია ქართველისთვის კულტურა, არსებობა, თუ ხელი უნდა აიღოს ერთსა და მეორეზედაც და სრულიად გადაშენდეს, გაწყდეს? ასეთი საკითხი სიტყვის მასალა არაა. დღევანდელს პირობებში ქართველს არ შეუძლია ასეთი კითხვა არ მისცეს თავის თავს, რადგან დღეს თვით მთელი მისი ცხოვრება ეს კითხვაა. თუ ჩვენი პიროვნება ვერ განშორდება ჩვენს ეროვნებას, თუ ადამიანობა განუყრელია ქართველობისაგან, მაშინ ხომ ვერ განვითარდება პიროვნება, თუ არ განვითარდა ეროვნება. თუ არ განვითარდა ეროვნება, არ განვითარდება პიროვნება და თუ არ განვითარდა უკანასკნელი, აღარ იქნება კულტურა, შემოქმედება, წინსვლა. იქნება მხოლოდ სიკვდილი! სიკვდილი, რომელიც ერთბაშად კი არ მოგვსპობს, არამედ ნელ-ნელა, თანდათან საშინელის დამცირებით და წამებით!

პიროვნება სცხოვრობს ეროვნებაში, ინდივიდი, არა თუ ძლიერი, არამედ უბრალო მომაკვდავიც ვითარდება მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ წრეში. ხოლო არავისთვის საეჭვო არ არის, რომ დღევანდელი პირობები ჩვენი პოლიტიკური არსებობისა ყოველის მხრით ჰბორკავენ ჩვენს ეროვნებას, ყოველ დარგში მოსპობილია მისთვის თავისუფლება განძრევისა, ყოველი ნაბიჯისთვის სასტიკი სასჯელი აქვს დანიშნული, თავის სახეს ვერსად გამოაჩენს, თავის ენით თამამად ვერავის გამოელაპარაკება, თავისი უწმინდესი გრძნობაც კი ვერ გამოუთქვამს უშიშრად, არ შეუძლია თავის ვინაობის გამოცხადება—ყველაფერი ქართულ ეროვნების, ეროვნულ პიროვნების მოსპობისაკენაა მიმართული. ასეთ ყოფაში, რასაკვირველია, არც ერთს ქართველს არ შეუძლია განავითაროს თავისი საკუთარი პიროვნება. ამ მდგომარეობაში ვერც ერთი ერი ვერ წარმოშობს პიროვნებას, მაღალს პიროვნებას, გენიოსს. აქ ისპობა ერი, ისპობა პიროვნება, ისპობა კულტურა...

**სიტყვა.**

P. S. ხუთშაბათის „დღიური" ვერ დაიბეჭდა ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საქართველოს ექსარხოსის დანიშვნის გამო რუსეთის ზოგიერთმა გაზეთებმა წერილები დაბეჭდა და თავისი აზრი გამოსთქვა საქართველოს ეკლესიის უფლებათა შესახებ. „რეჩ"-ში დაიბეჭდა ბ-ნ ოგნიევის წერილი, რომელიც ეხება ქართველთა პეტიციას და ამბობს:

> ჩვენა ვფიქრობთ, რომ ავტოკეფალია დროებითი საშუალება არ არის საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან საუკეთესო modus vivendi-ს დასამყარებლად, როგორც აღნიშნავს ქართველების პეტიცია. ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისათვის მისი ისტორიული უფლებაა, ბუნებრივი ჩარჩოა ეკლესიის სალი ცხოვრების ისტორიულ მსვლელობისა, ამ ცხოვრების ადგილობრივ პირობათაგან, ხალხის გენიისაგან ისტორიულად შექმნილი, ქრისტიანობის სულთან თავისებურად შეთანხმებული.

გაზეთი „სოვრემენ. ნედელია"-ც ეხება საეკლესიო საკითხს და იმას საქმეთა მოსაწესრიგებლად ერთად-ერთ საშუალებად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა მიაჩნია.

> საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ნასახი, რომელიც ბიუროკრატიამ ისევ დასტოვა, ფაქტიურ დამოუკიდებლად უნდა გადაიქცეს და სწორედ ისე, როგორც ნაჩვენებია საქართველოს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომლითაც საქართველო თავის ნებით იქმნა შეერთებული რუსეთთან. საუკუნოებრივი დამოუკიდებელი არსებობა საქართველოს ეკლესიისა უფლებას აძლევს, კვლავ დამოუკიდებელი იყოს სინოდისაგან და წინანდელივით განაგოს თავისი საქმეები ამორჩეულ ქათალიკოსის მიერ.
>
> საჭიროა, ეხლა მაინც ყური ვათხოვოთ ერის ხმას და შევიგნოთ, რომ ამ მისწრაფებიდან ქართველი ხალხი უარს ვერ იტყვის და არც შეუძლიან უარი სთქვას.

⁂

ქართულ გაზეთების რიცხვი გამრავლდა. გამოდის ქართული ჟურნალი და გაზეთი ტფილისში, ქუთაისში, ბაქოში. სასიხარულო მოვლენაა, რადგან ჟურნალ-გაზეთების გამრავლება, ალბად, მოთხოვნილების გადიდებას ნიშნავს. წინად ორი-სამი გაზეთი გამოდიოდა, ეხლა-კი ოცამდე გამოდის. თვალ ყურს ვერც-კი ადევნებს კაცი ყველაფერს, რაც ამ ჟურნალ გაზეთებში იბეჭდება. ხშირადა გლანძლავენ, ავად გიხსენიებენ, ხოლო შენ ვერც-კი კითხულობ სიმრავლისა და უდროობის გამო. სწორედ ასეთი საქმე დაგვემართა ჩვენ: ქუთათურ გაზეთ „ფონში" დაბეჭდილია წერილი, რომელიც ჩვენ შეგვეხება და ჩვენ-კი მხოლოდ გუშინ წავიკითხეთ.

ამ გაზეთის 14 თებერვლის ნომერში ბ-ნი სვიმონიკა „ყბად ასაღებ ამბების" სათაურით ეხება ტფილისის რუსულ ჟურნალისტების მოსყიდვის საქმეს. ავტორი, რასაკვირველია, ჰკიცხავს ამ ჟურნალისტებს, მაგრამ ხვირს არ გვაყრის არც ჩვენ და ჩვენთან ერთად არც იმათ, რომელთაც ამ ჟურნალისტების საქმენი საგმირონი აღნიშნეს და გაჰკიცხეს. ავტორი გვისაყვედურებს—სხვებს ზნეობის გაკვეთილებს უკითხავთ და თქვენ თითონ კი ხმა გაკმინდეთ ქუთაისის ბანკზე, როდესაც შარშან ამ ბანკის საქმეები გამოირკვაო, და ხმა გავკმინდეთ კიდევ თურმე იმიტომ, რომ სხვა გვარად, მაგრამ მაინც ქრთამი ავიღეთ ბანკისაგან. არა გჯერათ? აბა მაშ ყური დაუგდეთ:

> ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ (გაზეთებს), თითქო ბანკი არც-კი არსებობდა და მისი კრებები საინტერესო არ იყო! საქმეები ხომ დიდათ საყურადღებო იყო, რწმუნებულთა არჩეული კომისიისაგან წარმოდგენილი ანგარიში, ერთი თვით წინ საზოგადო კრებამდი დარიგებული, აცნობდა საზოგადოებას დიდათ საინტერესო ამბებს, იმისთანა ამბებს, რომ პრესის წარმომადგენელს, თუ კი მას რამე გაგება თავის მოვალეობისა, არა თუ უნდა აღენიშნა ეს ანგარიში, არამედ სამარცხვინო ბოძზე უნდა აეკრა იმ ანგარიში მოხსენებული „დევ-გმირები", საზოგადო მოღვაწეებად თავის თავს დამსახველნი. ეს იქნებოდა მათი მოვალეობის ასრულება, უამისოთ-კი მწერალი მწერალი არ არის და ხელს უნდა იღებდეს საზოგადო საქმის მეთაურობაზე. აქ-კი საქმე სულ სხვანაირად იყო; როგორც ხმა გამოვიდა: რედაქციებს ემცნო ბანკის გამგეობისაგან, რომ ბანკის საქმეებზე და განსაკუთრებით იმ ანგარიშზე, რომელიც კომისიამ რწმუნებულთა საზოგადო კრებას წარმოუდგინა, არამც და არამც მათ გაზეთებში არაფერი შენიშვნა არ ყოფილიყო მოთავსებული. რასაკვირველია, გამგეობამ კეთილშობილური მოტივებით შეამკო ამისთანა თავისი ბრძანება, რომ ბანკის „ლისტების" ფონდი ბირჟაზე არ დაეცეს, მით ბანკის ინტერესები არ დაიჩაგროსო და სხ... მოტივი კარგათ ესმოდათ ორივე მხარეს, როგორც შემთხზველებს, ისე მიმღებს და გამგონეს, რომ თუ ეს ბრძანება არ იქნებოდა შესრულებული, იმ შემთხვევაში არა სასიამოვნო საქმე უქადიდა რედაქციებს ბანკი: თავის განცხადებას ბანკი არ დაბეჭდავდა ამ გაზეთებში და ეს-კი ნიშნავდა თითეულ ამ გაზეთისათვის 3.000 მან. დაკარგვას წლიური შემოსავლიდან, ეს მოტივი გვარიანი დამარწმუნებელი მოტივი გამოდგა და კიდევაც დაერწმუნეს: ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ გაზეთებს ისე გათავდა კრებები, თუმცა ეს კრებები გაგრძელდა 14—15 დღე და დიდი ყურადღება მიიპყრო საზოგადოების; აქ გამოაშკარავდა, რომ თუ ეხლავე არ იქნა მიღებული ჯეროვანი ზომები და ეხლავე ბოლო არ მოეღო არა სასურველ მოვლენებს ჩვენს ბანკში, ამ უკანასკნელის მდგომარეობა უიმედოა და მისი დადუპვა ხომ მთელი გუბერნიის და კიდევ მეტი რაიონის განადგურება იქნება!.. ეს გაზეთები კი ჩვენი საქმეების და ხალხის გულშემატკივარნი არიან, ერთი ქართული ასოებით იბეჭდება, ხოლო მეორე კი რუსული „აზბუკით": მათი მწერლები, რასაკვირველია, პატრიოტობენ როგორც ქართველები და რომ მათ პატრიოტობაში ეჭვი შეგეპაროს ყალყზე შედგებიან და მუშტი-კრივზე გამოდიან...

აქ ჩვენი გაზეთის სახელი მოხსენებული არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ ის გაზეთი, რომელიც „ქართული ასოებით იბეჭდება", ჩვენი გაზეთია. აშკარაა იმიტომ, რომ შარშან ქუთაისის ბანკის განცხადება ქართულ გაზეთებიდან მარტო ჩვენმა დაბეჭდა და, რამდენადაც გვახსოვს, რუსულშიაც, „კავკაზის" გარდა, არსად არ დაბეჭდილა.

სწორედ ქუთაისის ჭორების ტალახში უნდა იყოს კაცი ჩაფლული, ბინძური სულისა და გულის პატრონი, რომ ასე ზეპირად, განუკითხავად აიღოს და ცილი დასწამოს გაზეთსა და თანამშრომლებს, იმ გაზეთს, რომლის ხანგრძლივი წარსული ყველას თვალ წინ არის გადაშლილი და რომლის თანამშრომლებსაც დღემდე არავისთვის საბუთი არ მოუციათ თავიანთ სინიდისისა და ნამუსის გაყიდვისა! ჰგრძნობს კი ავტორი, რა ბრალსა გვდებს, ხოლო ის თუ არა ჰგრძნობს, რას ჰფიქრობდა „ფონის" რედაქცია, როდესაც ვიღაც მეჭორე სიმონიკას წერილს ათავსებდა თავის გაზეთის ფურცლებზე? რა საბუთი უჭირავს ხელში ბ-ნ სიმონიკას, რომ კადნიერდება და ამბობს, ბანკმა წინდაწინვე აცნობა ჩვენ გაზეთს, ნურაფერს დაბეჭდავთო, და ჩვენც, განცხადების დაკარგვის შიშით, ხმა არ ამოვიღეთ? რასაკვირველია, არავითარი, რადგან ჩვენ არასოდეს არც ერთ ბანკთან ამისთანა საქმე არ დაგვიჭერია და განცხადებების დაკარგვის შიშით არ გავჩუმებულვართ.

ესეც არ იყოს, უსინიდისო ცილის წამებაა, ვითომ ჩვენ გავჩუმებულიყავით და ქუთაისის ბანკის საქმეების გამო ხმა არ ამოგვეღოს. კრების ანგარიშების გარდა, საიდანაც აშკარადა სჩანს, რომ ჩვენ სრულებით ხელი არ დაგვიფარებია ქუთაისის ბანკის გამგეთათვის, აი, სხვათა შორის, რა სწერია „დროების" მე-102 ნომერში:

> საშინელი ამბები გამოაშკარავდა. ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი, რომელსაც საერთო მნიშვნელობა აქვს, ლამის დაიღუპოს ახლანდელ მმართველების ხელში. საარაკო დაუდევრობა გამოუჩენიათ! სარევიზიო კომისიამ, მიუხედავად ათას გვარ დაბრკოლებისა, დაუჯერებელი ამბები გამოაქვეყნა!
>
> რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! თავიდან ბოლომდის ერთსა და იმავეს ვხედავ. არსად არის სისწორე, არც ანგარიშში, არც საქმეში, ყველგან სიცრუე, მოტყუება და დაუდევრობაა გამეფებული.
>
> . . . . . . სარევიზიო კომისიამ გამოაქვეყნა საბრალმდებლო ოქმი გამგეობისა, ზედამხედველ კომიტეტისა, დამფასებლებისა და მმართველების წინააღმდეგ. ამათ ჰბრალდებათ დაუდევრობა, ფლანგვა საზოგადოების საკუთრებისა „პადლოგები", კანონის დარღვევა ყოველ ნაბიჯზე, ღალატი საზოგადოების წინაშე! ბრალდებულნი კი სდუმან, ხმას არ იღებენ, მხოლოდ კენჭებს ეძებენ და შეუგნებელ ბრბოს შემწეობით უნდათ გაიტანონ ლელო!
>
> . . . . . ურჩევნიათ ახლავე დაანებონ თავი ბანკს და მიბრძანდნენ, თორემ მერე გვიან-ღა იქნება სინანული!

მარტო ეს ამონაწერიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ბანკის მმართველთ არ მოვფერებივართ. შეიძლება იმაზე მეტის თქმა და დაწერა იყო საჭირო, რაც ჩვენ გვქონდა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ იმისი ვითომ, რომ ქრთამით ჩავეჩუმებინით, მხოლოდ ქრთამებსა და ჭორებში აღზრდილ კაცს შეუძლიან.

ჭორია ისიც, ვითომ ჩვენ გაზეთს შარშან ქუთაისის ბანკის განცხადებაში 3000 მანეთი აეღოს. როგორც ანგარიშებიდანა სჩანს, გაზეთს დაბეჭდილ განცხადებაში ქუთაისის ბანკისაგან მიუღია 690 მან. 20 კ. თუ ამას ქაღალდის, აწყობა-ბეჭდვის და სხვა ხარჯს გამოვაკლებთ, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ასეთ მცირე თანხისთვის თვით ბ-ნი სიმონიკაც არ გაჰყიდდა სინიდისს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**ჟიუნო** (ალიასკა). ტრედუელლის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკვდა 23 კაცი. დაშავდა ბევრი.

**ევერეტი.** გამოირკვა, რომ კასკადის მთებში ზვავის ქვეშ მოჰყოლია 84 კაცი.

**ფილადელფია.** სამართალში მისცეს მუშათა ორგანიზაციების პრეზიდენტი და მუშების რამდენიმე მეთაური. ბრალდებათ მუშების აღელვება.

**ათინა.** დეპუტატთა პალატამ 150 ხმით წინააღმდეგ 11 ხმისა მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ. ეროვნულ კრებას მოიწვევენ 1 სექტემბერს.

**სტამბოლი.** ჩამოვიდა სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრი მილოვანოვიჩი, მილოვანოვიჩმა სააგენტოს კორესპონდენტს გადასცა, ჩემი აქ ჩამოსვლა სერბიის და ოსმალეთის მეგობრობით აიხსნება. სტამბოლში ერთი კვირა დავრჩები და იმედი მაქვს რომ შევსძლებ უფრო განვამტკიცო ოსმალეთ-სერბიის მეგობრული კავშირიო.

**სალონიკი.** 15 თებერვალს დიაკოვოში ალბანელებს შეტაკება მოუვიდათ ჯართან. მოკლულია 1 აფიცერი და 6 სალდათი.

**ვენეცია.** სასამართლო შეუდგა გრაფ კომაროვსკის მკვლელების საქმის გარჩევას. სასამართლოს შენობა სავსეა ხალხით. ჩამოვიდნენ იტალიის და საზღვარ-გარეთის გაზეთების კორესპონდენტები. ბრალდებულებს ათი ვექილი იცავს. დამნაშავე—ქალი ტარნოვსკაია შავ ტანისამოსშია.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. განსახილველია პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. მავრომიხალისმა განაცხადა: სწორედ თუ ვიტყვით ეროვნულ კრების მოწვევა და კონსტიტუციის გადასინჯვა, კონსტიტუციის დარღვევაა, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ ეროვნული კრება დამფუძნებელ კრებად გადაიქცეს. მაგრამ თუ სურთ ამ კრების მოწვევა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიწვიოთ. საბერძნეთში საჭიროა დამყარდეს წესრიგი და მშვიდობიანობაო. შემდეგ ილაპარაკა მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვით საბერძნეთში სრული მშვიდობიანობაა, 15 აგვისტოს მოძრაობის მეთაურთ სრულიადაც არა სურდათ კონსტიტუციის და დინასტიის წინააღმდეგ გალაშქრება, მათ

---

# კონსულტაცია

მაისის მზე მედიდურად ამოგორდა და თავისი ბრწყინვალე სხივები უხვად გაუნაწილა მიყუჩებულ ბუნებას. ერთი სხივი ექიმ ვასილ ყურძნაძის საწოლ ოთახის ფანჯარასაც სტყორცნა, ნახევრად ჩამოშვებულ ფარდას შეეპარა და მძინარე ვასილს წარბსა და წარბს შუა დაერჭო.

თუმცა ექიმი გულის ძილში იყო, მაგრამ შუქის სიცხოველემ მაინც თვალი გაახელინა და მეორე გვერდზე გადაატრიალა.

— რა ჯანდაბა და ოხრობაა!— მძინარე ხმით წაიდუდუნა მან:— ფარდასაც კი ვერ ჩამოუშვებენ ხეირიანად!..

უძილობისაგან დამძიმებული თავი კვლავ ძილს თხოულობდა, მაგრამ რა კი უნებურათ გაეღვიძა, ძილის დაბრუნება ველარ მოახერხა. ამან უფრო გააუსიამოვნა: გულმოსულმა საბანს წიხლი ჰკრა, გრძლათ დაამთქნარა და უძილობისაგან დაწითლებული თვალები ოთახის ჭერს დააშტერა, სადაც კედლიდან ანასხლეტი მზის შუქი უცნაურის სახითა და ქარაგმით ციაგობდა.

დიდ ხანს უცქეროდა ექიმი დასისხლიანებულის თვალებით მერხზე მიყრდნობილ მზის შუქს და სურდა მასზე შეეჩერებინა გონების თვალი, მაგრამ ცელქი სხივი წამში ათასნაირად იცვლებოდა: ხან გაშლილ ვარდივით დაიხატებოდა, ხან ლამაზი ქალის სახეს მიიღებდა და, ვით შეყვარებული, ექიმს ულიმოდა; ხან კბილებ ჩაცვენილ ბებერს დაემსგავსებოდა, ხან კი—ყოველსავე ამა ქვეყნიურ სახეს ჰკარგავდა და უცხო, უცნაურ სიმბოლიურ ქარაგმად იხატებოდა. მისჩერებოდა ექიმი სახეთა ამ დაუსრულებელ ცვალებადობას და თან ფიქრობდა:

„ახირებულია სწორედ! ჩვენი ცხოვრებაც ხომ ასეთი ცვალებადია?!. ჯერ ნორჩი ხარ, როგორც ვარდის კოკორი; ვინ იცის, რამდენი ტკბილ გრძნობა-სურვილი იშლება შენს გულში და ელის განხორციელებას, მაგრამ თვალის დახამხამების უმალ ასაკში შედიხარ და ყველა ის, რაც სიყრმეში გადუვალი და საუკუნო გეგონა, ლანდად-ღა რჩება შენს ხსოვნაში... მერე... მოწიფულებას მოხუცებულობა მოსდევს, ხოლო მოხუცებას—აუცილებელი ბოლო ჩვენის ცხოვრებისა—სიკვდილი და უცნაურ, ფუქსავატ არრაობად ქცევა... უცნაური და გაუგებარია ადამიანის ცხოვრება! დიახ, ეს ასეა, მაგრამ განა საკითხავი არ არის—მსურს თუ არა მე ეს აუცილებელი და უაზრო ბოლო ჩემი საკუთარ სიცოცხლისა?.. ნუ თუ ადამიანის სიცოცხლე, ცხოვრების მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შორიდან სჭვრეტდე ბედნიერება-სიამოვნებას, ვით ზღვაში დაკარგულ მხსნელ სინათლეს, ახლოს კი ვერ ეკარებოდე და მხოლოდ მისის მიუწდომელ შვენებით კმაყოფილდებოდე?! აი, მეც დილიდან საღამომდი ვშრომობ, ოჯახისა და საზოგადოებისათვის ვითომ სარგებლობა მომაქვს და მერე ნაყოფი?—არარაობა! ოჯახი ჩემთვის საპყრობილეა, საზოგადოება კი—მისი დარაჯი... შეჰმატა კი რამე ჩემმა ტუსაღურმა ცხოვრებამ ან ოჯახს, ან საზოგადოებას? სრულებით არაფერი!.. მე კი—მე ის არა ვარ, რაც უნდა ვიყო, რაც უნდა ვყოფილიყავ?.. დიახ, ასეთი სიცოცხლე სიცოცხლე კი არა თავის მოტყუებაა—უნაყოფო, უშინაარსო სირბილი ქარის დასაჭერად. არა, მე არ ვისურვებდი ასეთ სიცოცხლეს! განა შეიძლება ქარის დაჭერა?!.. ბედნიერება მხოლოდ იქ არის, სადაც კმაყოფილებას ჰგრძნობ, ხოლო კმაყოფილება პირად სიამოვნებაში მდგომარეობს! მაშასადამე, სიამოვნება და მხოლოდ პირადი სიამოვნება უნდა იყოს მიზანი და საბოლოო დასკვნა ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლისა... თუ ასეა, მაშ, ცხოვრების შიშსა და კრძალვას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენს გულში, რადგან ბედნიერება, თუმცა წუთიერ, მაგრამ მაინც ხელმისაწვდენ, კონკრეტულ სიამოვნებაში იხატება და არა უშინაარსო, უსახო იდეალის ფუჭ ძებნა-ძიებაში... ან კი რად გვინდა საუკუნო, უკვდავ იდეალის დასაკუთრება, როცა ჩვენ, მისი მაძებარნი, ისეთივე მქრალი და ცვალებადნი ვართ, როგორც აი ის, კედელზე სხვა და სხვა სახით მოთამაშე მზის სხივი!.."

ექიმი მეორე გვერდზე გადატრიალდა და ამ გვარის ფილოსოფიით გულდაჯერებული თავის თავს დაეკითხა:

„გამოგიცდია კი ჯერ შენს ცხოვრებაში ასეთი პირადი ბედნიერება—სიამოვნება?"

იგი ერთ ხანს დაფიქრდა; ელვის უსწრაფეს თვალი გადაავლო მთელ თავის ცხოვრებას და განვლილ ურიცხვ დღეთაგან მხოლოდ გუშინდელი ღამე ეჩვენა იმ პირად სიამოვნების მომნიჭებლად, რომლითაც სწადდა მთელი აწინდელ სიცოცხლის ავსება.

„აი, სწორედ იქ, საზოგადო საკრებულოში, გამართული ვახშამი იყო ის წუთიერი ბედნიერება-სიამოვნება, რომელიც ცხოვრების აზრად და შინაარსად უნდა მიაჩნდეს ყველას, ვისაც ამ ქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ საკვდილის საზრდოდ არ დაუნიშნავს: დიდებულად გაჩირაღდნებული განიერი დარბაზი, შემკული და თვალწარმტაცი ვით ზღაპრული მეფის სადგომი, რომლის შუა გულს სდგას ათასს სასმელ-საჭმლით სავსე სუფრა... სუფრას გარს შემოსხდომიან კოპწიათ მორთულ-მოკაზმული ქალ-ვაჟნი— ყველა ახალგაზდა, ყველა ლამაზი და სიცოცხლით სავსე, ისეთი, როგორიც თვით მე, ექიმი ვასილ ყურძნაძე ვარ. საერთო მხიარულება, სიცილ-კისკასი, სიტყვა-მოსწრებულობა და ქალთა ალერსი... ისმება ღვინო, ლალი და ტკბილი, ვით უკვდავების წყარო, ვით თვით ნექტარი... აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საერთო აღტაცება, კეკლუც ქალთა ვნებათ-ღელვისაგან განწყლიანებული, უნდო თვალები და სულისა და გულის ერთმანეთის წინაშე გადაშლა-გამომზევება... აი, ჭეშმარიტი და სანატრელი კმაყოფილება, კმაყოფილება სულისა და ხორცისა!.."

განვლილ სიამოვნების გამოწვევამ ექიმი ტკბილ ბინდ-ბუნდში გაახვია. განგებ მოხუჭა თვალები, რომ უფრო ცხოვლად წარმოედგინა გუშინდელ მხიარულების სურათი, და ის-ის იყო გონების თვალმა დაუხატა კიდეც იგი, რომ საწოლ ოთახის კარი ჭრიალით გაიღო და ვასილის წინ მთელის თავის უშნო აგებულობით წარმოსდგა თმაგაბურძგნული, ჯერ ისევ პირდაუბანელი ცოლის სახე...

სინამდვილით გულ-მოწყვეტილმა ექიმმა საჩქაროდ პირი იბრუნა და გვერდის გადაცვლება დააპირა, მაგრამ სასურველი სურათი მაინც გასხლტა და შეშინებული სადღაც შორს, გონების ბნელ კუნჭულში მიიმალა.

— ვითომ რა ამბავია ამდენ ხანს ლოგინში კოტრიალი?—წაიდუდუნა ცოლმა და სკამები აარახუნა:— იქ ავადმყოფები მთელი საათი იცდიან და ეს კი შეყვარებულივით თვალ-დახუჭული ოცნებობს! იქნება ჯერ კიდევ არ გამოგნელებია გუშინდელი სიმთვრალე და ოხრობა?..

ექიმს გუნება შეეცვალა. სანეტარო ოცნება და ტკბილი მოგონება სინამდვილის უდიერობამ წაბილწა. ასადგომად წამოიწია, მაგრამ ღვინისა და უძილობისაგან დამძიმებული თავი ვერ დაიმორჩილა და ისევ ბალიშს დაესვენა. ხოლო მისი ერთგული მეუღლე, მჭერმეტყველების ჟინით გატაცებული, მესტვირესავით აკაკანებდა ღირსეულ ქმრის ქება-დიდებას.

ექიმმა კარგად იცოდა, რომ როცა ცოლი ასე ენა-წყლიანობით დაიწყებდა, უთუოდ ჩხუბით უნდა გაეთავებინა და რადგან ესკულაპის მოწაფე სრულებით არ იყო ამის გუნებაზე, ამიტომ ისევ ადგომა ამჯობინა.

ერთი საათის შემდეგ იგი უკვე მისაღებ ოთახში იჯდა და ავადმყოფებს ელოდა. მისი ფიქრი ისევ გუშინდელ საღამოს დასტრიალებდა.

— რა საამო და ნეტარი წუთები იყო!..

ექიმი იდაყვებს დაეყრდნო და დაფიქრდა, მაგრამ აქაც არ დასცალდა სასურველი ოცნება: მისაღებ ოთახის კარი ერთბაშად გაიღო და სრიალ-შრიალით შემოვიდა კოხტად მორთული ახალგაზდა ქალი. ექიმი წამოდგა. მოსულმა სალამის ნიშნად თავი ოდნავ დახარა და შეჩერდა.

— მობძანდით!—მიიწვია ექიმმა და სკამი გაუწოდა.

ქალმა ნაძალადევის სითამამით წაიწია საჯდომისაკენ. ეტყობოდა— მღელვარებას აეტანა. მისი, ისედაც ფეროვანი ლოყები, კიდევ უფრო აწითლებულიყო და ვაკე, ძალზე გამოზიდული გულ-მკერდი აჩქარებით ადი-ჩადიოდა. ექიმი ხარბის თვალით მიაშტერდა იმის ტანმთელობით სავსე აგებულობას და გაკვირვებული თავის თავს ეკითხებოდა: „ნუ თუ ამასაც ექიმი ეჭირვება?.."

— აბა, დაბძანდით და მიამბეთ რა გაწუხებთ?—სკამზე მითითებით უთხრა ექიმმა.

ქალმა თვალი-თვალში გაუყარა და საჯდომზე დაეშვა. ცხადი იყო, რაღაც არაჩვეულებრივი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ მღელვარებისაგან ვერ მოეხერხებინა. იგი მოუთმენლად ატრიალებდა ტყავის ლამაზ საფულეს და ერთს რომ ექიმს შეჰხედავდა, მეორეს—სასადილო ოთა-

მხოლოდ შინაურ რეფორმების მოხდენა უნდოდათო. მეფე ყოველთვის კონსტიტუციის დარაჯად უდგა. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, ვითომ შეუძლებელია რომ ეროვნული კრება, რომელმაც კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლები უნდა განიხილოს, დამფუძნებელ კრებად გადაიქცეს. ვისაც სამშობლოს სიყვარული აქვს, მან ეროვნულ კრების მოწვევას მხარი უნდა დაუჭიროსო. უმრავლესობის ლიდერის თეოთიკისის აზრით, შესაძლებელია, რომ სამხედრო მოძრაობის მეთაურნი უმაღლეს იდეებით იყვნენ გამსჭვალულნი; მაგრამ ყოვლად შეუძლებელია რომ საბერძნეთი იმ გარემოებაში დარჩეს, რომელშიაც იგი ძალდატანებით ჩააყენეს. ხალხს სურს ისეთი კონსტიტუცია დამყარდეს, რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის და მშვიდობიანობის დამყარებასო. ილაპარაკა კიდევ რამდენიმე ორატორმა. რალლის და მავრომიხალის ცხარე კამათი მოუვიდათ საბერძნეთის მართვა-გამგეობის შესახებ. დასასრულ პალატამ მიიღო პროექტი ეროვნულ კრების მოწვევის შესახებ.

**სტამბოლი**. ევროპის ვილაეთებიდან და სტამბოლიდან ჯარში იწვევენ ახალგაზრდებს. ევროპის ვილაეთებიდან იწვევენ მხოლოდ ქრისტიანებს. სულ უნდა გაიწვიონ 120,000 ახალგაზრდა. ჯარში გაჰყავთ ახალგაზრდები 20 წლამდი. წლოვანობის მიხედვით ახლად გაწვეულები სამ რიგად გაჰყვეს: უხუცესები იმსახურებენ—სამ წელიწადს, შუათანები—ექვს თვეს და უმცროსები—სამ თვეს. ბევრი ქრისტიანი სულ არ გამოცხადდა.

**ვენეცია**. ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს თავმჯდომარე საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ შეეკითხა ბრალდებულებს, გაიგეს მათ თუ არა საბრალმდებლო ოქმი იტალიანურ ენაზედ, რაზედაც ბრალდებულებმა განაცხადეს, გავიგეთ. შემდეგ ამოირჩიეს და დააფიცეს ნაფიცი მსაჯულები. შემდეგ თავმჯდომარემ დამნაშავეებს განუმარტა საბრალმდებლო ოქმის ზოგიერთი მუხლები. ოქმის კითხვის დროს ნაუმოვი ძალიან ღელავდა, ტარნოვსკაია პირიქით აუღელვებლად იქცეოდა მაშინაც კი, როდესაც მას კომაროვსკის სიკვდილს აბრალებდნენ და განსვენებულის და მას სიყვარულს შეეხნენ. დააფიცეს ექსპერტი პსიხიატრები.

**ნიუ-იორკი**. რეისის კონცხის ახლო გემმა „კალედონიამ" გადაარჩინა რუსეთის გემის „კორეის" მეზღვაურები. „კორეია" ქარიშხლის დროს კლდეს დაეჯახა.

**ვენა**. დეპუტატთა პალატა. ილაპარაკა სოციალ-დემოკრატმა მიტიკმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: ძველ-რუსთა პარტიის წევრები ჯაშუშობენ და სახელმწიფოს ღალატობენო. მიტიკს პასუხი გასცა რუს—სახალხო კლუბის თავმჯდომარემ, მიტიკის ბრალდება ყოვლად საფუძვლისაა მოკლებულიო.

### რუსეთი

**კიევი**. კადეტების კორპუსის ახლო ოთხი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ტრამვაის ვაგონის კონდუქტორს, წაართვა ნავაჭრი და მიიმალა.

**ეკატერინოსლავი**. საცეპეტოვკაში საერობო დარაჯი დაედევნა 3 საეჭვო პირს. ბოროტგანმზრახველებმა მოჰკლეს საერობო დარაჯი და მიიმალნენ.

**ჰელსინგფორსი**. დააპატიმრეს უცნობი, რომელსაც ვიბორგის ახლო ერთი ოჯახის ამოწყვეტა ბრალდებოდა, უცნობი ფანჯრიდან გადავარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

**მოგილევი**. ოლქის სასამართლომ გაარჩია სამხედრო უწყების მოხელედ ნამყოფის სტეფანოვის საქმე. ბრალდებოდა რუსეთ-იაპონიის ომის ისტორიის წიგნზედ მოტყუილებით ხელის-მოწერის გამართვა და ფულის შეჭმა. სასამართლომ სტეფანოვს ჩამოართვა უფლებები და სამი თვით სატუსაღო მიუსაჯა.

**პეტერბურგი**. სამოსამართლო პალატამ განიხილა ბოქაულის ნიკიტინის საქმე. ბრალდებოდა ქრთამების აღება. სასამართლომ ნიკიტინს გადაუწყვიტა სამსახურიდან დათხოვნა და 300 მანეთით დაჯარიმება.

**პეტერბურგი**. სოფელ ნოვაია კაზანკაში შავი ჭირით ავად გახდა ერთი კაცი. სულ ავად არის 3 კაცი.

**პეტერბურგი**. შეკრეს გაზეთ „ნოვაია რუსის" მე-49 ნომერი. სამართალში მისცეს გაზეთის რედაქტორი.

# უკრაინელები და მთავრობის ცირკულიარი

ამ სათაურით გაზ. „რეჩ"-ში დაიბეჭდა წერილი ბ-ნ პ. ჩიჟევსკისა, რომელიც ეხება შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარს (იხ. „დროება" № 36) და ამბობს.

ცირკულიარი ორის მხრით არის საინტერესო. ჯერ ერთი საინტერესოა იმით, რომ არა რუს საზოგადოების კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობა, რომელიც დამყარებულია ეროვნულს ნიადაგზე, იმის და მიუხედავად, თუ რა მიზანს ემსახურება იგი, დღეიდან გამოცხადებულია საზოგადოებრივ მყუდროებისთვის საშიშ მოვლენად, ე. ი. კრამოლად არის მონათლული. მეორე—უკრაინელებიც არა-რუსებად იქნენ ჩარიცხულნი. აქ არ შევეხები იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება მინისტრის ცირკულიარი 4 მარტის უმაღლესად დამტკიცებულ კანონს საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მთავრობა, რომელიც აქამდე აიძულებდა ფარულად ეწარმოებინათ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ისეთ ერებს, როგორნიც არიან პოლონელები, სომხები, ქართველები, ლატიშები და სხვანი, ეხლა უკრაინელებსაც იქით მიერეკება. ამ ნაირად 150 მილიონ ხალხიდან მხოლოდ 65 მილიონი ველიკორუსები რჩება, ექვებს გარეშე. 85 მილიონ არა ველიკორუსის მისწრაფება მშვიდობიანურ განვითარებისადმი კრამოლად არის აღიარებული.

აქ მოკლედ მოვიყვან ორიოდე ფაქტს, უკრაინელთა კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობიდან და ამით ცხად ვყოფ იმას, თუ რას გვასწავლის ისტორიის გაკვეთილი.

უკრაინელთა კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა დაკავშირებულია უკრაინის ახალ ლიტერატურის განვითარებასთან. ლიტერატურის განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო გასულ საუკუნის პირველ ნახევარში და მეორე ნახევრის დასაწყისში. ამ განვითარების მამათმთავარი კოტლიარევსკი იყო. იმას მიჰყვნენ გულაკ-არტემევსკი, გრებინკა, ბოროვიკოვსკი, კვიტკა-ოსნოვიანენკო და „კობზარი" უკრაინისა—ტ. გ. შევჩენკო. 1877 წლის შემდეგ, როდესაც განადგურებულ იქნა კირილე-მეთოდის ძმობა, რომლის მისწრაფება სლავიანთა შეკავშირება იყო, უკრანის ლიტერატურის განვითარება ცოტა ხნით შეჩერდა. მაგრამ ათი წლით გადასახლების შემდეგ შევჩენკოს სამშობლოში დაბრუნებამ უკრაინის ლიტერატურაც გამოაცოცხლა. ამას ხელი შეუწყო იმ აღფრთოვანებამ, რომელიც რუსეთში იყო დიდი რეფორმების წინ. კულიში დაბრუნდა სამშობლო ლიტერატურას და დასწერა თავისი „შავი ფიქრები". გაჩნდა მთელი წყება ახალგაზრდა მწერლებისა: რუდნსკი, მარკოვ-ვოვჩოკი, ბარვინკოვი, გლებოვი და სხვანი. გამოვიდა დიდი ჟურნალი „ოსნოვა", რომელიც იბეჭდებოდა რუსულსა და უკრაინულ ენებზე... ორივე ლიტერატურა—რუსული და უკრანული—სიყვარულითა და მშვიდობიანად ვითარდებოდა და მხარ და მხარ მიდიოდა წინ, როგორც ორი ღვიძლი და.

„მაგრამ 1863 წ. უკრაინულს ენაზე აკრძალეს ბეჭვდა ყველა იმისა, რაც სიტყვა-კაზმულ მწერლობის გარეშე იყო. ცნობილ საიდუმლო კანონით (1876 წლის 1 მაისის კანონი) უკრაინის ლიტერატურას ჯვარი დაუსვეს. ყველას გასაოცებლად, სასიკვდილოდ გამეტებული და შებორკილი უკრაინის ლიტერატურა უფრო ცხოველ-მყოფელი გამოდგა, ვიდრე კანონის ავტორები მოელოდნენ. დიდ რუსეთიდან ძალდატანებით გაძევებულმა უკრაინის ლიტერატურამ პატარა გალიციაში გადინაცვლა და იქ აღორძინდა. იქ მიილტოდნენ უკრაინის მოღვაწეთა საუკეთესო ძალები; იქვე მიდიოდა უკრაინის ხალხის ფული. იქ არა ჩვეულებრივის სიწრაფით ვითარდებოდა და იფურჩქნებოდა გალიცია უკრაინის ლიტერატურა, რომელიც ეხლა რუსეთის მეგობარი კი აღარ იყო. წინანდელსავით, არამედ მისი მტერი. დევნილებმა იქიდან, გალიციიდან დაუწყეს ლაპარაკი თავიანთ მდევნელთა და შემავიწროებელთ.

ეს ერთი უმთავრესი შედეგი იყო 1863 წლიდან დაწყებულ პოლიტიკისა, რომელიც უკრაინის ხალხის განვითარების შესაფერხებლად იყო მიმართული.

1905 წელმა, როგორც იყო, აღადგინა უკრაინის ბეჭვდითი სიტყვის უფლებანი. თუმცა 1863 წლიდან დაავადებული იარები სრულიად არ განიკურნა, მაგრამ მაინც განკურნების გზას დაადგა. რუსეთში ბლომად გაჩნდნენ გამომცემელი ფირმები. გალიციიდან რუსეთში გადმოვიდა უკრანის ყველაზე უფრო სერიოზული გამოცემა—„ლიტერატურნო-ნაუკოვი ვისტნიკ"-ი. გარდა ამისა, კიევში ახლად დაარსდა შვიდი გამოცემა („რადა", „რიდნი კრაი", უკრაინსკა ხატა„, „მოლოდა უკრაინა", „უკრაინკი ბჯილნეცტვო", „სელო", „ზაპისკი ნაუკოვოვო ტოვარისტვა"). ამასთან ერთად დაარსდა მთელი რიგი უკრაინის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა.

მთელი ეს მოძრაობა, დემოკრატიზმისა და პროგრესის მატარებელი, მეტად ლოიალურია რუსეთისა და ველიკორუსებისადმი. ყველაზე უკიდურესი მოთხოვნა უკრაინელებისა ის არის, რომ სკოლებში, სადაც უკრაინელთა ბავშვები არიან, სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებდეს.

და აი ეხლა ყველა ამას მთავრობის მძლავრი თათი მოჰხვდა. დაიწყო დევნა ისევე, როგორც გასულ საუკუნის მესამოცე წლების ნახევარში იყო. მაშინდელ „ჭეშმარიტ-რუსთა" დასმენით, ცნობილ იუზეფოვიჩის ხელმძღვანელობით, დაიხურა უკრაინის სამეცნიერო და კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება, რომელიც ერთად-ერთი იყო კიევში. შემდეგ ამისა ხელი მიჰყვეს პრესსასაც და აკრძალეს. მაშინ უკრაინელებს სეპარატიზმს სწამებდნენ.

ასეა ეხლაც. მეტად გახშირდა დაბეზღება გაზეთებში, თუ სპეციალურ მოხსენებებით, რომელსაც მთავრობას უდგენ. ამ ორი წლის განმავლობაში „ჭეშმარიტი რუსები", უკრაინის ხალხის დაუძინებელი მტრები არაფერსა ზოგავენ უკრაინელთა სამტროდ. ერთი მოხსენების შინაარსი შარშან გაიგეს უკრაინელმა წრეებმა და როგორც ეტყობა, ამ მოხსენებას დანიშნულებისთვის მიუღწევია.

ისტორია მეორდება. დარწმუნებულნი კი უნდა ვიყვნეთ, რომ მთავრობის განკარგულებანი წინანდელივით ვერ შესძლებენ 30 მილიონ უკრაინელების გაველიკორუსებას.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ჩამოხრჩობა**. 20 თებერვალს, დილის 5 საათზე, საგუბერნიო საპატიმროს ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი გრიგოლ გაბრიელის ძე ტასოშვილს. ტასოშვილს ჰბრალდებოდა ფუხაშვილის ყაჩაღთა ბრბოს წევრობა და ცარცვასა და მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. ფუხაშვილი ამავე საქმისთვის ჩამოახრჩეს 1909 წელს, 21 აგვისტოს.

✦ **ჟურნალისტთა კრება**. ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე დაასრულა გამოძიება მირზოევ-ნაგურსკი-ყიფიანის საქმის გამო და დღეს, 21 თებერვალს, მოხსენებას წარუდგენს ჟურნალისტთა კრებას. კრება დაიწყება 12 საათზე, ტფ. საბჭოს დარბაზში.

✦ **ადგილების გამოსყიდვის წესი**. როგორც ვიცით, ტფ. ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა წესი ნაძალადეველების მიერ ქალაქის მიწების გამოსყიდვისა. გამგეობა ამ წესდებას ტფ. ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ორშაბათს, 22 თებერვალს.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო**. ორშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც განსახილველად, სხვათა შორის, წარედგინება შუამდგომლობა წერა-კითხვის საზოგადოებისა მისი მამულის დასაფასებელ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

✦ **კრება**. დღეს, 21 თებერვლისთვის, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სომხეთა გამომცემელ საზოგადოებისა გამგეობის ამოსარჩევად და სხვა საქმეების განსახილველად. ამას გარდა კრება აირჩევს სარევიზიო კომისიას და დაამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **„ჯეჯილის" დღესასწაულის გამო**. გვთხოვენ დავბეჭდოთ. „მე-3 ვაჟთა გიმნაზიის ქართველი მოწაფენი გულით ულოცავენ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას იმის ოცი წლის საზოგადო მოღვაწეობის გამო და უსურვებენ იმის ჟურნალს „ჯეჯილს" მრავალ ჟამიერს.

✦ **შეძლებულნი გადასახადს არ იხდიან**. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს შეძლებულ სახლის პატრონებისაგან დასაფასებელი გადასახადი ვერ მოუკრეფიათ. მე-5 ნაწილის აგენტმა ამ დღეებში სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, იღონოს რამ, რომ ადლეხანოვს გადაახდევინოს 15,000 მანეთი დასაფასებელი გადასახადი. გამგეობამ პოლიცმეისტერს სთხოვა დახმარება.

**დ. შიპოვი**. „ბაკუს" სიტყვით, დ. შიპოვს თანხმობა განუცხადებია კენჭი იყაროს ბაქოს ქალაქის გამგეობის წევრობაზე.

✦ ტფ. საგანგებო მომრიგებელმა მოსამართლემ 19 თებერვალს გამოაცხადა განაჩენი სულაბერიძე—ჯაჭვაძის საქმის გამო. როგორც ვწერდით, ფარმაცევტმა სულაბერიძემ ჯაჭვაძეს უჩივლა, ქურდი დამიძახა და ცილი დამწამაო. სულაბერიძემ პასუხისგებაში მისცა ჯაჭვაძე, აგრეთვე ხარაუხის მცხოვრები ბაგატარ ახუნდოვი. მომრიგებელმა მოსამართლემ ამ საქმის გამო გამოჰკითხა ექიმებს გ. ნ. სტეფანოვს, თათოსიანცს, იკიტიანცს და სხვებს. ფარმაცევტმა სულაბერიძემ ცილის დაწამებაში ბრალი დასდო როგორც გ. ჯაჭვაძეს, ისე ბაგ. ახუნდოვს და ამტკიცებდა, რომ ახუნდოვმა ჯაჭვაძის ნაგონებით წამლები თითონ მოიტანა აფთიაქში და შემდეგ ჩემგან გაყიდულად გამოაცხადა, რომ ჩემთვის დაემტკიცებინა, ვითომ მე ქალაქის აფთიაქიდან წამლებს ვიპარავ და ვასაღებო. მომრიგებელმა მოსამართლემ პროვიზორი გ. ჯაჭვაძე უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა, ხოლო ბაგატირ ახუნდოვი დამნაშავედ იცნო სულაბერიძისათვის ცილის დაწამებაში მიუსაჯა ორის თვით დაპატიმრება.

✦ 17 თებერვალს რკინის გზის მატერიალურ ნაწილის მოანგარიშემ ვასილ მჭედლიშვილმა პოლიციაში განაცხადა: რამდენსამე უცნობმა შეცდომაში შემიყვანა, ძველი ფულის ნაცვლად ცემენტის ნამტვრევებით სავსე ტომარა შემომატყუა და 600 მან. გამომართვა ჩემი ამხანაგის განდავ ტრეჟუბეცკისაო. ამ განცხადების შემდეგ არ გასულა 2 საათი, პოლიციაში შევიდა ვაცლავ კოტლიაჟევსკი და განაცხადა: მოანგარიშემ ვასილ მჭედლიშვილმა ჩემ ძმას ტრეჟუბეცკის გამოსტყუა 500 მან. ჩემ მიერ ნასესხები ფულით. მჭედლიშვილი დიდხანს არწმუნებდა ჩემ ძმას, ერთ მუშას ძველს ნანგრევებში დიდ ძველი ფული უპოვნია, 500 მანეთი იშოვნე და ამოდენ ქონებას ხელში ჩავიგდებთო. როდესაც ტრეჟუბეცკის უკანვე მოუთხოვნია ფული, მჭედლიშვილს ტომარაზე მიუთითებია აი ეს შემოგვატყუეს და რა ჩემი ბრალიაო. მჭედლიშვილი დააპატიმრეს იგი გამოტეხილა, 200 მან. დაუბრუნებია ტრეჟუბეცკისთვის, ხოლო 300 მანეთის თამასუქი მიუცია. მჭედლიშვილი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ კვლავ მივაქცევთ ქველმოქმედთა ყურადღებას მარიამ ამაღლობელის გაჭირვებულ ოჯახის მდგომარეობას. ამაღლობელს ჰყავს ორი შვილის-შვილი, 6 და 3 წლისა და სანცხოვრებელი წყარო-კი არავითარი გააჩნია. ადრესი: ანტონოვის ქ. (ავჭალ. ქ. ზემოდ), ალაგირის შესახვევი, № 7.

✦ 19 თებერვალს პოლიციამ ჩხრეკის დროს დაიპატიმრა პოლიციის მე-3 ნაწილში—40, მე-5 ნაწილში—10 და მე-12 ნაწილში—8 უპასპორტო კაცი.

✦ კვირას, 21 თებერვალს, სამკურნალო დარბაზში ქართულად ქ-ნი ავალიანი წაიკითხავს „წითელ ფარანს" პატარა ბავშვებისთვის, ხოლო მოზრდილთათვის ქ-ნი ახალშენიშვილი წაიკითხავს „ძაღლებს". დასაწყისი თერთმეტ საათზე. კვირას, 21 თებერვალს ავჭალის აუდიტორიაში ქართულად ბარნაბიშვილი წაიკითხავს „შარიკს" პატარებისთვის; მოზრდილთათვის ქ. ელიავა წაიკითხავს „რამდენიმე სურათს ყაჩაღების ცხოვრებიდან". დასაწყისი ათ საათზე.

✦ „დროების" მე-35 ნომერში დაბეჭდილი იყო ამბავი ვასილ ჯანყარაშვილის დაკარგვის შესახებ. ამ ამბის დაბეჭდვა მისმა ძმამ გვთხოვა. ეხლა თვით ვასილ ჯანყარაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი დაკარგული კი არა, ბაქოში ყოფილა საქმეების გამო.

## სერგეი ირაკლის ძე მესხი

(ნეკროლოგი.)

17 თებერვალს, დილის ხუთ საათზე, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ხურვებით გარდაიცვალა ქალაქ ალექსანდროპოლში რკინის გზის ცნობილი ექიმი სერგეი ირაკლის ძე მესხი.

განსვენებულმა მე-80 წლებში დაასრულა კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და მაშინვე შეუდგა საზოგადოების სამსახურს თავის სპეციალურ სარბიელზე. უკანასკნელ ხოლერობის დროს, როცა ეს სენი, შედარებით სხვა ადგილებთან, იმდენად მძვინვარებდა სამტრედიაში, რომ ადგილობრივმა რკინის გზის ექიმმა მიანება თავი სამსახურს, განსვენებულმა სწორედ იქ გადაიტანა თავისი ბინა და თავ-განწირულად, დღე და ღამის გასწორებით, შველოდა ამ საშინელ ჭირით შეპყრობილებს. იმის მოღვაწეობას ყურადღება მიაქცია რკინის გზის გამგეობამ და მიიწვია რკინის გზის ექიმად სამტრედიაშივე.

---

ხის ღია კარებს. ვასილი მიჰხვდა, წამოდგა და კარები წყნარად მიხურა. ქალმა კმაყოფილების ნიშნად ოდნავ გაიღიმა და კვლავ ექიმს მიაპყრა ლამაზი, თაფლის ფერი თვალები.

— მამცნეთ თქვენი სატკივარი, ქალბატონო!—გაუმეორა ვასილმა.

ქალი გასწორდა, ღრმად ამოისუნთქა და ნაძალადევის ღიმილით მიუგო:

— ჩემ სატკივარს ჩვეულებრივი წამალი არ მიუდგება, ბატონო ექიმო!

ვასილმა გაკვირვების ნიშნად მარცხენა წარბი აიწია—თითქოს გაეგონა სადღაც იგი ხმა. „მართლაც რომ ჩვეულებრივი წამალი არ მიუდგებაო", გაიფიქრა და გული უცნაურად შეუფართხალდა, მას აოცებდა თავისებური საქციელი ახალგაზდა პაციენტისა და სურდა ჩქარა გაეგო მისი ვინაობა.

— რატომ არ მიუდგება? რა უნდა იყოს ასეთი?!

— იმიტომ რომ...—ქალი ერთს წუთს შეჩერდა და ხმამაღლა გადიკისკისა:—რა გულ-მავიწყი ყოფილხართ, ბატონო ექიმო... ნუ თუ ვეღარ მიცანით?

ვასილი ქალის ლამაზ სახეს დააშტერდა...

— მაპატიეთ!.. თქვენ გუშინ...

და გაახსენდა წუხანდელი ნიღაბოსანი.

— დიახ! მხოლოდ გუშინ გამიცანით და ასე მალე კი დაგვიწყებივართ... ახირებული ხართ მამაკაცები! მთელი საღამო ჩემს გვერდით იჯექით, ვინ იცის, რას არ მეტიტინებოდით. ბოლოს ისე გაჰკირვეულდით, რომ ნიღაბიც კი ამახდევინეთ და დღეს კი... ისე მიმიღეთ, როგორც ჩვეულებრივი, კუჭის ტკივილით ავადმყოფი!..

— უკაცრავად, მარია იესეევნა!.. მე მხოლოდ...

— ბოდიშს ნუ იხდით! არ გეძრახვით... მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს: ჩვენ, ქალები, უნდა ვიყოთ უფრო გულმავიწყნი, ვიდრე თქვენ, რადგან ყოველი წვრილმანი გვაინტერესებს და ნიშანდობლივისთვის აღარა გვცალიან...

— უკაცრავად! მე... მოგეხსენებათ... ცოტა წუხანდელი ღვინო...

ქალმა აღარ დააცალა:

— მაშ, აღარც ის გეხსომებათ, რასაც ისე აღფრთოვანებით მეუბნებოდით წუხელ?!. ღმერთო, რა სასაცილონი ხართ მამაკაცები, როცა ქალებსა და ღვინოს ერთად შეჰხვდებით!..

და კვლავ გულიანად გადიხარხარა. ვასილი ხელების სრესით მიუახლოვდა ქალს.

— ნუთუ ფიქრობთ, მარია იესეევნა... ნუ თუ გგონიათ, რომ სიმთვრალემ მათქმევინა ის, რაც წუხელ გითხარით?!. მე მზათა ვარ, ფხიზელმა კვლავ გაგიმეოროთ, რომ..

სასადილო ოთახიდან კარი ოდნავ, შეუმჩნევლად გაიღო და ჭრიტით გამოჩნდა ვიღაც ის თვალის კაკალი...

— არა, საჭირო არ არის;—სიცილით გააწყვეტინა ქალმა:—აი, მე ავასრულე ის, რაც გუშინ გითხარით, ხომ გახსოვთ: როცა თქვენს ცოლს უსაყვედურებდით — ფეხის ყოველ გადადგმაზე თვალყურს მადევნებსო, მე გითხარით, თქვენი ცოლისა არ მეშინიან და თუ მოვისურვე, თქვენსავე კაბინეტში დაგინიშნავთ rendez-cous. მეთქი!..

ექიმს ვნებათ ღელვარებისგან ნიკაპი აუცახცახდა. საფეთქლებს ცხელი სისხლი მოაწვა. გულმაც ცემას უმატა. თავბრუ-დასხმული, იგი ჰგრძნობდა ახალგაზდა ქალის საბედისწერო სიახლოვეს, მის სუნთქვას, და ასეთი ყოფნა—უანგარიშო და მოუთმენელი—დაუძლეველის ჟინით იზიდავდა ქალისაკენ.

— მაშ, თქვენ... განგებ მოხვედით, რომ...—და ექიმი უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა.

— დიახ, მოვედი! მე ყველგან და ყველასთან მიმესვლება- თუ კი მოვისურვებ! გარწმუნებთ, მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ თქვენი „წრფელი" გრძნობა, რომლის უცვლელობაშიაც ფიცით მარწმუნებდით, იმ ღამეს ვერ გაათენებდა, მაგრამ მე მაინც მოველ, რადგან მინდა გავიგო: მართლა „ჭინჭველის სიმჟავეს", დამალევინებთ სამკურნალოდ, როგორც გუშინ მეუბნებოდით, თუ...

ექიმი დაათრო ქალის სიტყვებმა: მან ინსტინქტურად გაშალა ხელები, ქალი თავისკენ მოიზიდა, გულში ჩაიკრა და ათრთოლების ხმით წაიბუტბუტა:

— არა... საწამლავი კი არა, თქვენთვის თვით ნექტარსაც არ დავიშურებ, იმ ნექტარს, რომელითაც ძველი ღმერთები თვრებოდნენ...

— და მაგრა ჩაჰკოცნა ქალის წითელა ტუჩები, მაგრამ...

სასადილო ოთახის კარი უეცრად გაიღო და მოტრფიალეთა წინაშე სულთა მხუთავივით აიყუდა ექიმის თმაგაწეწილი, ერთგული ცოლი...

ჭ. უმბაძე.

შემდეგ, როცა სენი ჩაქრა, გარემოებამ აიძულა ის გადაეტანა თავისი მოღვაწეობა ჯაობიან ქიურდამირში, ბაქოს გუბერნიაში, ხოლო იქიდან 1900 წელს ქ. ალექსანდროპოლში. ამ ხნის განმავლობაში აქ მას თავის სპეციალ საგნის ზედ მიწევნით ცოდნამ, მოვალეობის ერთგულობამ და ავადმყოფების, ნამეტნავად ხელმოკლე ავადმყოფების მიმართ თანაგრძნობამ მოუპოვა იშვიათი სახელი მთელს ქალაქში და მიდამოებში.

ამ ათი წლის განმავლობაში აქ იმისგან არც ერთ სომეხს, თათარს და რუსს, ვისაც კი მისი მიწვევა დასჭირებია, არ გაუგონია: „ჯერ სადილს გჭამ და მერე მოვალო“, ანუ „ახლა ღამის ორი საათია და დილას მომაკითხეთ“. ავადმყოფი, გაურჩევლად ეროვნებისა იმისთვის იყო გაჭირვებული მოყვასი, რომელსაც შველოდა მუდამ, დღე და ღამისა დარისა და ავდრის გაურჩევლად. სიღარიბე ავადმყოფისა მას ექიმობის ხალის თუ უმატებდა, თორემ არ უნელებდა. ათ ავადმყოფში შვიდს მაინც უსასყიდლოდ სწამლობდა.

ეს ფაქტი შარშან აღნიშნა ადგილობრივმა სომხურმა გაზეთმა „ჟაირეპ“ („კლდე“).

დიდ შრომის მოყვარეობასა და ხასიათის სიმტკიცესთან ერთად განსვენებული იყო, როგორც ყველა კარგი და სათნო ადამიანი, თავმდაბალი და ჩუმი მოღვაწე. არა მარტო ექიმობით, ის ბევრს უწყობდა ხელს თავის ღარიბ ჯიბითაც, მაგრამ ამას არავისთან ყვიროდა და არც არავის ამადლებდა.

ჩინებულ ექიმს, ოჯახისთვის საუცხოვო მამას და იშვიათ მეგობარს არავინ, ვინც კი ერთხელ მაინც გასცნობია, არ დაივიწყებს.

განსვენებულს დარჩა ქვრივი და რვა, ერთმანეთის მომდევნო შვილი, რომელთაც მან დაუტოვა მხოლოდ ზნეობრივი სიმდიდრე—თავისი უმწიკვლო სახელი და იშვიათი პატიოსნება, ქონებრივათ კი—არაფერი...

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი სერგეი! ვერ წარმომიდგენია შენი ოჯახი, ჩვენი წრე და ალექსანდროპოლელი ქართველობა უშენოდ. შენ და მკვდარი?! ოთხს ამ თვეს ერთად ვიყავით სრულიად ჯანმრთელი; შენ 43 წლის ექიმი, სხვის სნეულების გამკურნველი, ასე უცებ... სად არის, სიკვდილო, დასასრული შენი?

**თ. მაგმაძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული საღამო იურიევში.** 10 თებერვალს იურიევში ბ-ნ ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გაუმართავთ ქართული საღამო. საღამოს კარგად ჩაუვლია და ხალხიც ბლომად დასწრებია.

—

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი.** დღეს ქართულ თეატრში ვლ. მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „შავი ბერი“ (მოჩვენება) ლ. ტოლსტოის მიერ გადმოკეთებული ან. ჩეხოვის მოთხრობიდგან, თარგმანი ლ. მესხიშვილისა. მობენეფისე მთავარ როლს ასრულებს.

—

**გორი.** 16 თებერვალს, დიდი ხნის უმოქმედობის შემდეგ, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ კრება მოახდინა. კრების უმთავრესი საგანი იყო სახალხო თეატრისთვის შესაფერ ბინის დაქირავება. თათბირის შემდეგ გამგეობამ დაადგინა, ხუთი წლით დაიქირაოს სობოროს ქუჩაზე მ. მარუტოვის შენობა, სადაც ეხლა როსტომოვის საკანდიტერო და სხვა დუქნებია, წლიწადში 400 მანეთად და მიეცეს წინდაწინვე ერთი წლის ქირა (400 მანეთი) შენობის შესაკეთებლად. ბ-ნ მარუტოვთან გამგეობამ შესაფერი ხელ-შეკრულობა დასდო. შენობა მზად უნდა იყოს პირველ მაისისთვის და ამ ხნიდან დაიწყებს მოქმედებას სახალხო უნივერსიტეტთან არსებული იაფ-ფასიან წარმოდგენების მმართველი დრამატიული სექცია. ამ შენობაშივე იქნება მოთავსებული უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. სულითა და გულით ვეგებებით სახ. უნივერსიტეტის გამგეობის გამოფხიზლებას. ვგონებ მან საკმარისად დაისვენა. საჭიროა ეხლა მეტი ფხა გამოიჩინოს. მით უფრო საჭიროა ენერგიის გამოჩენა ამ კულტურულ მუშაობაში დღეს, როდესაც ყველა მხრიდან გვეხეთქება რეაქციის მძაფრი ტალღები და ლამობს ჩვენი თავის უფსკრულში შთანთქმას...

—

**ახალციხე.** რაბათის (ძველი ნაწილის) ახალგაზრდა სცენის მოყვარენი პირველად გამოვიდნენ საკრებულოს დიდ სცენაზე (ახალ ნაწილში) და ითამაშეს დრამა „მეზობლები“. შემოსავალი წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ სამკითხველოსთვის გადაიდო. ბილეთები თითქმის ყველა გაიყიდა. შემოვიდა 250 მანეთამდე. ხარჯი 80 მანეთამდე იყო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

დეკემბერში ვწერდი, რომ მთელი წლის განმავლობაში ახალციხეში ერთი წარმოდგენაც აღარ დაუდგავთ ადგ. სცენის მოყვარეებსა მეთქი. სწორედ მას შემდეგ ზედიზედ სამი წარმოდგენა გამართეს და 600 მანეთამდეც შემოვიდა. სჩანს, ჩვენ სცენის მოყვარეებს შესძლებიათ წარმოდგენის მართვა, თუ კი მოინდომებენ. საჭიროა მხოლოდ, რომ რაბათისა და ახალ ნაწილის მოთამაშენი, შეიერთდნენ. მაშინ საქმე ისე გაიჩარხება, რომ შეიძლება სულ მოკლე ხანში სამუდამო დასიც შესდგეს.

**კ. გვარამაძე.**

## უცხოეთი

**რუსის პროვოკატორები პრუსიაში.**

პრუსიის ლანდტაგში პოლიციის ბიუჯეტის განხილვის დროს დეპუტატმა ლიბკნეხტმა ბევრი რამ გამოაამჟღავნა უცხოელ პროვოკატორების მოქმედებიდან. ლიბკნეხტმა სთქვა, რომ ქ-ნი ჟუჩენკო დღემდე ბერლინში სცხოვრობსო. რადგან რუსის სამკითხველოები ბერლინში დაიხურა, ამიტომ ბერლინის პოლიციამ ურჩია ვიღაცა საეჭვო კაცებს ახალ სამკითხველოების გახსნა, რომ იქ შეეძლოს რუსის რევოლიუციონერების დაზვერვა. ლიბკნეხტმა გააფრთხილა რუსები ამ ახალ სამკითხველოში არ წახვიდეთო. მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუცია ლიბკნეხტისთვის.

ლიბკნეხტის სიტყვის შემდეგ, პოლიციამ წინადადება მისცა ჟუჩენკოს, ამ მოკლე ხანში მიატოვოს ბერლინი. ამბობენ, რომ პრუსიელ სოციალ დემოკრატებს ხელთ აქვთ სენსაციონური ცნობები რუსის პროვოკატორებზე და რომ ეს ცნობები მალე იქნება გამოქვეყნებული.

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის პრუსიაში.**

წარსულ კვირას, 19 თებერვალს, ბერლინში დიდი კრება გაიმართა, ბუშის ცირკში შეიკრიბა 8,000 კაცი და ამდენივე ცირკის ახლო ტრიალებდა ქუჩებში. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი ლისტი. მრავალმა ორატორმა ილაპარაკა, მათ შორის დეპუტატმა ნაუმანმა, ერთმა პროფესორმა—მედიკმა, ერთმა მექარხნემ, ერთმა ვექილმა. კრებამ ერთხმად დაადგინა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საყოველთაო ხმის უფლებას. კრების შემდეგ, ნაშუადღევის 2 საათზე დემონსტრანტებმა დაუბრკოლებლივ გაიარეს მეფის სასახლის წინ „ცაცხვებ ქვეშ“. ბერლინში წინად არა დროს არ მიუციათ ხალხისთვის ნება სასახლის წინ გავლისა. პოლიცია განზე იდგა.

იმავე დღეს უფრო დიდებული კრება მოახდინეს ქალ. მაინის ფრანკფურტში. ერთ ფართო ველზე შეიკრიბა 50,000 მოე სული. ასეთი დიდებული მანიფესტაცია ფრანკფურტში 1898 წლის რევოლიუციის შემდეგ აღარ ყოფილა. ორატორები—სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და პროგრესისტები—რვა ტრიბუნიდან ლაპარაკობდნენ. პოლიციის უფროსთან შეთანხმების ძალით, პოლიციელები სულ არ დასწრებიან კრებას.

ხმა დადის, იმპერატორმა ვილჰელმმა უბძანა პოლიციას, ხალხს ურიგოდ ნუ მოექცევითო.

## სპარსეთი

**სეპეხდარის სამინისტრო დარჩა**

სეპეხდარის სამინისტრომ მოახდინა სხდომა, დილით საღამომდე ითათბირა და დაადგინა დავრჩეთო. მინისტრები დაუყოვნებლივ წავიდნენ თავ-თავიანთ სამინისტროებში და მიმდინარე საქმეების გარჩევას შეუდგნენ. მეჯლისმა მათ პატივსაცემლად საგანგებო სხდომა მოახდინა.

**სესხის საქმე.**

შინაგან სესხის მოსაწყობად საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ უკვე შეადგინა სესხის პროექტი: უნდა გამოიცეს 20 მილიონის ობლიგაციები, რომლებიც სახელმწიფომ 80 წლის განმავლობაში უნდა შეისყიდოს. თითო ობლიგაცია ეღირება 2 მანეთი.

ქალებმა პირველებმა გამართეს ხელის მოწერა, 1200 თუმანი შეკრიბეს და მეჯლისს გაუგზავნეს. გაზ. „ირან ნოვა“-ს რედაქციამ მოაგროვა 4000 თუმანი. კაცების მიტინგზე შეკრიბეს 700 თუმანი. ვინმე არკა მულამ 6000 თუმანი შესწირა ამ საქმისთვის. 18 თებერვალს ხელის მოწერა გაიმართა ყველა ბაზრებსა და დაწესებულებებში. არაგის სამღვდელოებამ 4,000 თუმანი გაუგზავნა მთავრობას. ქალებმა დიდი კრება გამართეს და ბევრი ფული შეკრიბეს. ქალების ერთმა ჯგუფმა გაზ. „ირან ნოვა“-ს საშუალებით 400 თუმანი შესწირა მეჯლისს.

**ყაზახების გასამართლება.**

ამას წინად სპარსელმა ყაზახებმა თეირანში დასჭრეს ერთი პოლიციელი, სამხედრო სასამართლომ მთელის ბრიგადის წინ აჰხადა სამხედრო ღირსება და სასულიერო სასამართლოს გადასცა სასჯელის დასანიშნად შარიათის თანახმად.

**წესიერების აღდგენა.**

ხორასანის ჯარის უფროსმა აჯუდან-ფაშამ დააწყნარა ბელუჯების ტომი, რომელიც სამხრეთ ხორასანში ახდენდა უწესოებას. ამ ტომის მეთაურმა სალარ-ხანმა მორჩილება გამოაცხადა, იგი მალე თეირანში მივა მთავრობასთან თავის ცოდვების მოსანანიებლად. ბელუჯის ტომმა სრულად შეიტანა, რაც იმაზე გადასახადები იყო დარჩენილი.

ხორასნისა და ასტრაბადის მეციხოვნე ჯარებს თეირანიდან გაუგზავნეს თოფები, პატრონები და ზარბაზნის ყუმბარები.

რეშტში ახალი გუბერნატორი მივიდა. იგი ერთგული მომხრეა კონსტიტუციისა. ახალ გუბერნატორს ყველანი პატივსა სცემენ. იმედი აქვთ, რომ იგი რუსეთის წარმომადგენლებსაც მოურიგდება როგორმე, ბოლოს დროს ურთიერთობა რეშტის მოხელეებსა და რუსეთის კონსულს შორის ცოტა არ იყოს გამწვავებული იყო. ახალ გუბერნატორის წყალობით მთელი გილანის პროვინცია დამშვიდდა და გილანში დამყარდა კონსტიტუციონური მმართველობა.

**რეაქციონერები რეშტში.**

რეაქციონერები მაინც არ იშლიან ახალ წესწყობილების წინააღმდეგ ინტრიგებს. რეშტში გაჩნდნენ ვიღაც უცნობი საეჭვო პირები. ამბობენ, ეს სულ ზილი-სულთანის გამოგზავნილი კაცები არიანო.

## განცხადებანი

იყიდება სახლი ქ. ქუთაისში
მესხეთის ქ., N 7 სახლი, ფლიგელი და ეზოს შენობები—სულ ქვიტკირისა. მშვენიერი ბაღი. მიწა 420 ოთხკ. საჟ. ბანკის ვალი 6000 მან. ვთხოვ მსურველს, დაათვალიეროს და თავისი ფასი სთქვას. ადრესი: ტფილისი, სვიატოპოლკ მირსკის ქ., N 5, პოდპოლკოვნიკს ნიკოლოზ ივანეს ძე მანსურაძეს (1—157—1)

7 მან. 30 კაპ.
2 კოსტიუმი კაცისა და ქალისა ორი საკოსტიუმე ნაჭერი, ნახევრად საზამთრო ან საგაზაფხულო, კაცისა და ქალისა. იგზავნება 7 მან. 30 კაპ. (ციმბირში 85 კაპ. მეტი). ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა ფულს უკან დაუბრუნებს. ნაჭრები შესდგება: კაცისა 4 ნახევ. არშ. ინგლისის ტრიკო, მტკიცე მალის მატერიისა ორ არშინიან განისა, და 8 არშ. ტრიკო „ოლიმპია“ მოდის სურათიანი ქალის კოსტიუმისათვის, გაგზავნა ჩვენი ხარჯით. ფას-დადებით გაგზავნის დროს საჭიროა 16 კაპ (ფოსტის ტაქსა). მსურველს იმავე ფასით (7 მან. 30 კაპ.) გაეგზავნება ორი ნაჭერი, კაცისა და ქალისა. ვინც 4-ს ან მეტ ნაჭერს დაიკვეთს იმას სრულიად უფასოდ გაეგზავნება: კაცის კოსტიუმისთვის ყოველ ნაჭრის სარჩული, ხოლო ქალის კოსტ. ნაჭრისთვის—საზღვარ-გარეთული ტყავის სარტყელი. ადრესი: Лодзь, фабрика «Лодзинскій Экспортъ». (Метцль и Кº. N 13635) (5—б.—2)

პირველი კავკასიის სარემონტო და შემკრები სახელოსნო
● ზომა და წონა ●
[illegible] N 9. ყვირილის ქუჩა, იარალოვის და ამხ. ქარხნის პირდაპირ. შევაკეთებთ, შევსწორ-შევასწორებთ და ვამზადებთ ნიშნების (დაღის) დასადებად სასწორებსა და წონის ქვებს სხვა და სხვა სისტემებისას თანახმად ახალის კანონისა ზომათა და წონათა შესახებ.
ჩვენ თავზე ვიღებთ ნიშნების (დაღის) დასმის საქმეს სასამართლო კარავში. იყიდება სასწორები და საწონი ქვები სხვა და სხვა გვარისა.
◀ ურმის სასწორები ▶ (5—1031—5)

ეფრემვერდი
(სურათებით)
იბეჭდება და მალე გამოვა. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს მიხეილ ზარიძეს, ანჩისხატის ქუჩა, № 17. თითო წიგნი ეღირება 1 მ. 50 კ. ვინც ამ თავით გამოიწერს, დაეთმობა 1 მან. (3—156—1)

ძმ. ავსარქისოვების ბაღი
ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—8)

იაფად იყიდება
ორთქლით სახერხავი
ქარხანა
ველიკოკნიაზის ქუჩ., № 16. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება ა. ბოვიანცთან. (3—152—3)

დღეს, 21 თებერვალს, გაიხსნება ახალი დიდი საკანდიტერო და სარძევე
„შვეიცარია“
სასტ. „ორიენტის“ ქვეშ, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე ახალ-ახალი საკანდიტრო და საბულკო საქონელი, მერძეობის ნაწარმოები.
ჩაი
ყავა
შოკოლადი
კაკაო
რძე
მაწონი
ყოველგვარი მინერალური წყლები. დღეს გახსნისას და კურთხევისას, ყველა საქონელი მსურველს ნახევარ ფასად დაეთმობა. (1—ავ.—1)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა
კოოპერაცია
(თეორია ისტორია და პრაქტიკა).
გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა.
შინაარსი: რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ◆ წიგნის ფასი 35 კაპ ◆
ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Василію К. Болквадзе. (10—б.—5)

◀ სავაჭრო სახლი ▶
„ძმ. სესიევები და ამხ.“
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშვა გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც
პურის არაყი
დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე
უმაღლესის საჩუქრებით
● ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს: ●
პურის არაყი № 101.
პურის არაყი № 50.
ღვინის და
კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკს
მოითხოვეთ ყველგან.
(10—გ.—5)

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლო უგურული“ ქუთაისში
● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—б.—26)

პროვოდნიკის
1897 წ.
ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА
1888
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
დარეზინებული წყალ გაუვალი ზედა ტანისამოსი
სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასებში.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული მატერია სხვა და სხვა მიზნისთვის;
რეზინის ღრუბელი;
სავარცხლები რქის რეზინისაგან;

სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.